საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „იუსტიციის სახლის“ ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ 2019 წელი

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2018 წლის 10 დეკემბრიდან 2019 წლის 10 დეკემბრამდე სსიპ „იუსტიციის სახლში“ საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებებისა და მათზე რეაგირების, ასევე, დაცული პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ ანგარიშს:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სსიპ „იუსტიციის სახლში“ საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 13 განცხადება. რომელთაგან ელექტრონული ფორმით შემოსული განცხადებების რაოდენობამ შეადგინა ერთი ერთეული.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების შესაბამისად, სსიპ „იუსტიციის სახლში“ უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - MY.GOV.GE - მეშვეობით.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა 2018 წლის 10 დეკემბრიდან 2019 წლის 10 დეკემბრამდე სსიპ „იუსტიციის სახლში“ არ შემოსულა.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სსიპ „იუსტიციის სახლში“ შემოსული თითქმის ყველა განცხადება შეიცავდა საჯარო ინფორმაციის ერთზე მეტ, ხშირ შემთხვევაში კი – მრავალ მოთხოვნას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ „იუსტიციის სახლში“ შემოსული განცხადებებიდან:

ა) ერთ განცხადებაში მითითებული საკითხები მიეკუთვნებოდა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების სფეროს და, შესაბამისად, განცხადება გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს;
ბ) იმ განცხადებებიდან, რომლებიც განეკუთვნებოდა სსიპ „იუსტიციის სახლის“ კომპეტენციას (12 განცხადება):

- 8 შემთხვევაში მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა;

- 2 შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
- 2 განცხადებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება-დამუშავება.

გ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

სსიპ „იუსტიციის სახლში“ შემოსული 8 განცხადება განიხილა და გადაწყვეტილებები მიიღო სსიპ „იუსტიციის სახლის“ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა თეა გიუნაშვილმა, ხოლო 2 შემთხვევაში - სსიპ „იუსტიციის სახლის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, სოსო გიორგაძემ.

სსიპ „იუსტიციის სახლის“ სტრუქტურული ერთეულები, მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებდნენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას. სსიპ „იუსტიციის სახლში“ დაცულია პერსონალური მონაცემები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (დეს) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა გააჩნიათ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

სსიპ „იუსტიციის სახლის“ თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტი.

2018 წლის 10 დეკემბრიდან 2019 წლის 10 დეკემბრამდე სსიპ „იუსტიციის სახლი“ საჯარო ინფორმაციის გაცემის, გაცემაზე უარის თქმის ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან, ასევე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით სსიპ „იუსტიციის სახლის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა, ამავე პერიოდში, იუსტიციის სახლს არ ჰქონია ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები და არ დაკისრებია მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხა.

სსიპ „იუსტიციის სახლის“

აღმასრულებელი დირექტორი **სოსო გიორგაძე**